ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 228 (20974) — პარასკევი, 5 ოქტომბერი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

„ისარი“ ხარისხის სამსახურში

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარი“ ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. იგი ალკურვილია მეცნიერული კვლევის თანამედროვე დანადგარებითა და საშუალებებით და მძლავრი ტექნიკური ბაზა აქვს. აქ მუშაობენ უმაღლესი კვალიფიკაციის გამოცდილი სპეციალისტები. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარი“ სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტებთან, საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ბიუროებთან და ქარხანა „აგატთან“ ერთად ერთ მთლიან რგოლს წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა პროცესის მეტროლოგიური უზრუნველყოფის სამუშაოებს ასრულებს კვლევით დაწყებული და პროდუქციის გამოშვებით დამთავრებული.

სურათზე: წამყვანი ინჟინერი მანანა შენგელია ბეჭდური ფირფიტის დაპროექტებისას.

თედო ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში:

წერილები საზღვარგარეთიდან

აშშ-საქართველო: ფართოვდება კულტურული ურთიერთობა

საქართველო სულ უფრო ფართოდ გადის საერთაშორისო ორბიტაზე. დაინტერესება ჩვენი რესპუბლიკით. მრავალი წინადადება და წერილი მოდის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, რის თაობაზეც სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციას.

საქართველოს უშუალო ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან ახალ თვისებრივ შინაარსს იძენს. მისი მიზანია რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა, მსოფლიო ბაზარზე პირველი ნაბიჯების გადადგმა და ავტორიტეტის, საიმედო პარტნიორის სახელის მოპოვება, ქართული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით უცხოელთა დაინტერესება და სხვა. ამ ურთიერთობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქართული კულტურის, ენისა და ისტორიის, ჩვენი სულიერი საგანძურის ცივილიზებული მსოფლიოსათვის გაცნობა.

ამ დღეებში საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ მიიღო პროფესორი გურამ შარაძე, რომელმაც მას გადასცა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილი ამერიკის, კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორის ბატონ ჯეიმს ბილინგტონის წერილი. ვაქვეყნებთ ამ წერილს და მასზე ბატონ გივი გუმბარიძის პასუხს, რაც თავისთავად ნათელს გახდის, რომ ამერიკა-საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობებში იდგმება კიდევ ერთი ნაბიჯი.

ძვირფასო ბატონო გუმბარიძე!

კონგრესის ბიბლიოთეკა მოხარული იყო ემასპინძლა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორის — გურამ შარაძისათვის 17 და 30 აგვისტოს. პროფესორი შარაძე შეხვდა ჩემს თანამშრომლებს და მათთან ერთად განიხილა ბიბლიოთეკის ქართული კოლექცია. მე და ბატონი შარაძე შევთანხმდით, რომ ბიბლიოთეკის ქართული მარაგი არ არის საკმარისი და ნაბიჯი უნდა გადაიდგას იქითკენ, რომ ქართველი ხალხის უძველესი კულტურა, ენა, ისტორია და ტრადიციები ადეკვატურად იყოს წარმოდგენილი კონგრესის ბიბლიოთეკის კოლექციებში.

შესაბამისად, ამერიკასა და საქართველოს, აგრეთვე მსოფლიოს მეცნიერებისა და მკვლევარების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ოფიციალურად გთავაზობთ კონგრესის ბიბლიოთეკაში ყველა იმ ქართული პუბლიკაციისათვის საცავის გამოყოფას, რომელთაც შემეცნებითი და მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ. განხორციელების შემთხვევაში, ეს ნაბიჯი, დიდად გაზრდის ორმხრივ ცოდნას, ურთიერთდაფასებასა და გაგებას არა მარტო ჩვენს ორ ქვეყანას შორის, არამედ საქართველოსა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას შორის.

პირდაპირი კავშირები ბიბლიოთეკასა და მის პარტნიორებს შორის საქართველოში შეიძლება გაძლიერდეს საკმაოდ, თუ ამ ორგანიზაციების საშუალებით გამოიგზავნება ჩვენთან მეცნიერული კვლევის ქართული პუბლიკაციები. კონგრესის ბიბლიოთეკა მზად არის ითანამშრომლოს და მთელი თავისი შესაძლებლობა მოახმაროს ყველა საჭირო მზადყოფნა.

კომუნიკაციის გასაადვილებლად უმჯობესი იქნებოდა გამოყოფილიყო სპეციალური ორგანიზაციები, ან ინდივიდუალური ჯგუფები, რომლებთანაც ამ პროექტის განსახორციელებლად გვექნებოდა პირდაპირი კონტაქტები.

ჩვენ ისიც კარგად ვუწყით, რომ საქართველოს გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს, რომ უშუალო კავშირი დაამყარონ ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკასთან, და ყოველმხრივ შეეწყობიან ხელს ამ საპატიო საქმიანობას.

ოქსფორდის, პარიზის ეროვნული, მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკისა და ბრიტანეთის მუზეუმის მაგალითისამებრ, ვფიქრობ, მეტ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს შესაბამის ბიბლიოთეკებს, უმუალო კონტაქტები რომ ჰქონოდათ თქვენი ბიბლიოთეკის ქართული ფონდის საქმეში ჩახედულ პირებთან და სპეციალისტებთან. საქმისათვის ასევე სასარგებლო იქნებოდა კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული პუბლიკაციების კატალოგიზაცია. რისთვისაც, თუკი თქვენი სურვილი, თანხმობა და სათანადო მოწვევაც იქნება, გამოვგზავნიდით ერთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „ისარი“ ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. იგი აღჭურვილია მეცნიერული კვლევის თანამედროვე დანადგარებითა და საშუალებებით და მძლავრი ტექნიკური ბაზა აქვს. აქ მუშაობენ უმაღლესი კვალიფიკაციის გამოცდილი სპეციალისტები. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარი“ სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტებთან, საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ბიუროებთან და ქარ-

ჯეიმს ბილინგტონი,
კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორი.

ღრმად პატივცემულო ბატონო ჯეიმს ბილინგტონ!

დიდად ნასიამოვნები დავრჩი, როცა პროფესორმა გურამ შარაძემ თქვენი წერილი გადმომცა. განსაკუთრებით გაგებარა თქვენმა კეთილშობილურმა წინადადებამ ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნებისთვის სპეციალური საცავის გამოყოფის თაობაზე, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით. თქვენ სავსებით მართებულად ბრძანეთ, რომ ასეთი საცავის გამოყოფა და ქართული ლიტერატურით მისი სისტემატური შევსება კარგ სამსახურს გაუწევს როგორც ჩვენს ხალხს, ისე საქართველოს უძველესი კულტურით, ენით, ისტორიითა და ტრადიციებით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დასავლეთში არც ისე ცოტა გვიგიელენ.

ჩვენ უკვე დავავალეთ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებს, აგრეთვე საქართველოს გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს, რომ ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკასთან, და ყოველმხრივ შეეწყობიან ხელს ამ საპატიო საქმიანობას.

ოქსფორდის, პარიზის ეროვნული, მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკისა და ბრიტანეთის მუზეუმის მაგალითისამებრ, ვფიქრობ, მეტ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს შესაბამის ბიბლიოთეკებს, უმუალო კონტაქტები რომ ჰქონოდათ თქვენი ბიბლიოთეკის ქართული ფონდის საქმეში ჩახედულ პირებთან და სპეციალისტებთან. საქმისათვის ასევე სასარგებლო იქნებოდა კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული პუბლიკაციების კატალოგიზაცია. რისთვისაც, თუკი თქვენი სურვილი, თანხმობა და სათანადო მოწვევაც იქნება, გამოვგზავნიდით ერთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „ისარი“ ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. იგი აღჭურვილია მეცნიერული კვლევის თანამედროვე დანადგარებითა და საშუალებებით და მძლავრი ტექნიკური ბაზა აქვს. აქ მუშაობენ უმაღლესი კვალიფიკაციის გამოცდილი სპეციალისტები. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარი“ სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტებთან, საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ბიუროებთან და ქარ-

ჯეიმს ბილინგტონი,
კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორი.

ღრმად პატივცემულო ბატონო გუმბარიძე!

ბატონ ჯეიმს ბილინგტონისგან ამ წერილის მიღებამ ორმაგი სიხარული მაჩუქა. ჯერ ერთი, ეს ბატონი ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტებთან, ერთ-ერთ ასეთ ინსტიტუტ-ბიბლიოთეკასთან ერთად, ამ ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ქართული ფონდის ერთ-ერთ ასეთ ინსტიტუტ-ბიბლიოთეკასთან ერთად, ამ ინსტიტუტ-

საქართველოს ბიბლიოთეკა

ჟამი დიდი არჩევანისა

(დასასრული)

გარდამავალ ეტაპზე, საკუთრების ფორმების პლურალიზმის პირობებში, რესპუბლიკის ეკონომიკა ჩამოყალიბდება, როგორც მრავალწყობიანი. მისი ოპტიმალური სტრუქტურა დეკრეტებით, ასევე. მართვის ორგანიზაციული მექანიზმის ზემოქმედებით არ შეიქმნება. იგი უნდა წარმოვიდგინოთ ეკონომიკის სწორად განვითარების ბუნებრივი პროცესების ლოგიკურ შედეგად, მხოლოდ ასეთი სტრუქტურა შეუქმნის მყარ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას.

ჰორიზონტალური კავშირების უზრუნველმყოფი საბაზრო სტრუქტურების შექმნა ერთგვარად წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფო მართვის არსებული ორგანიზაციული სისტემის გარდაქმნას. გარდამავალ პერიოდში მთ თანაარსებობას თავიდან ვერ ავიცილებთ. მთავარია, შეცვლა მოქნილად და ფითოდურად განხორციელდეს.

საწარმოთა დეცენტრალიზაცია და პრივატიზაცია ვერ შექმნის საბაზრო გარემოს, თუ მიმოქცევის ინფრასტრუქტურაც მისი შესატყვისი არ იქნება. ამიტომ რსებით ცვლილებას მოითხოვს მომარაგება-გასაღების მოქმედი სისტემაც. ამ სფეროში დამოუკიდებელი, თვითმართვადი და კონკურენტული სახელმწიფოებრივი ერთეულების პარალელურად ყოველმხრივ უნდა შეიუქმნოთ ხელა საკუთრების სხვა ფორმებზე დაფუძნებული წარმონაქმნების მოქმედება. რაც შეეხება სახელმწიფოს, ამ მხრივ მან, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეძლოს სრულყოფილი სასაქონლო ბირჟის (შემდგომში — შეიძლება რამდენიმეს) შექმნა. ეს პროცესი უნდა დაჩქარდეს, ოღონდ ობიექტურ რეალობაზე დამყარებული სტრატეგიის გათვალისწინებით.

• • •

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იწყება უადრესად მწვავე საფინანსო ვითარებაში. აქ მთელი რიგი რთული პრობლემები დგას. მხედველობაში გვაქვს საფინანსო მეურნეობისა და ფულის მიმოქცევის მოწესრიგება, შესაბამისი სტრუქტურებისა და მექანიზმების ანალიზი ჩამოყალიბება. საგადამხდელო ბალანსის ფორმირება, ბიუჯეტის დეფიციტი, მოსახლეობისა და საწარმოების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის სტრუქტურის საფუძვლიანი გაანალიზება და, აქედან გამომდინარე, საქონლისა და მომსახურების ბაზრის დაბალანსება. განსახორციელებელი იქნება ღონისძიებები საბიუჯეტო რესურსების ხარჯვის უმკაცრესი ეკონომიის რეჟიმის დასაცავად, საწარმოების, ორგანიზაციების, მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციისა და აქტიურ სამეურნეო ბრუნვაში ჩართვისათვის (საბინაო ბაზრის, ჯანმრთელობის და საპენსიო უზრუნველყოფის, დაზღვევის სისტემის შექმნა, ობლიგაციების და აქციების გამოშვება, სახელმწიფო ქონების გამოსყიდვა და სხვა). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს დაუსაქონლებელი ფულის ამოღება კი არ არის, არამედ მისი სარეგლამენტო დაბანდებაა, რაც თანაბრად ხელსაყრელი იქნება როგორც მათი მფლობელებისთვის, ისე საზოგადოებისთვის.

საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების, საერთოდ საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და სამეურნეო აქტიურობის გაძლიერების პირობების შესაქმნელად საჭიროა საბიუჯეტო ურთიერთობისა და საგადასახადო სისტემის რეფორმა. ახალმა საგადასახადო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო აქტიურობის ყოველმხრივ გაზრდას, ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას, სოციალური დაცულობის ღონისძიებათა განხორციელებას. უნდა ჩამოყალიბდეს ორარხიანი საგადასახადო სისტემა: საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი უნდა იხდიდეს რესპუბლიკურ და ადგილობრივ გადასახადებს. ეს უზრუნველყოფს საბიუჯეტო სისტემის ავტონომიურობას და მყარ საშემოსავლო ბაზას.

რაც შეეხება რესპუბლიკის ბიუჯეტს, იგი უნდა იყოს რესპუბლიკური, ავტონომიური ფორმირებებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ერთობლიობა. ანალოგიურად უნდა მოხდეს ვალუტის ფონდების ჩამოყალიბება. აუცილებელია საფინანსო ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნის დაჩქარება (საფონდო, სავალუტო ბირჟები და სხვა ინსტიტუტები).

რესპუბლიკური ბიუჯეტის როლი გადანაწილებითს პროცესებში განსახელმწიფოებრიობის, დეცენტრალიზაციის და პრივატიზაციის კვალობაზე შემცირდება. შესაბამისად გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტების როლი კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა დაფინანსებაში.

ორსაფეხურიანად გვაქვს წარმოდგენილი დამოუკიდებელი საბანკო სისტემა საკრედიტო რესურსების სრული განკარგვით, ცენტრალური ეროვნული ბანკით და საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე შემდგომ დაფუძნებული კომერციული ბანკების ფართო ქსელით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე მსვილი სახელმწიფო სააქციო კომერციული ბანკის, მათ შორის საექსპორტო-საიმპორტო ბანკის შექმნა.

უნდა შეიქმნას სრულიად ახალი სადაზღვევო სისტემა, დემონოპოლიზაციის და კონკურენტული სტრუქტურების ფორმირებით. ჩამოსაყალიბებელია კომერციული რისკის დაზღვევის მექანიზმი, საერთაშორისო კავშირების დაზღვევის განვითარებული ქსელი (ეს ამასთან სადაჟო სისტემის გარდაქმნა), ასათვისებელია პირველადი აღრიცხვისა და სტატისტიკის მსოფლიო სტანდარტები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მომავალში ეროვნული ფულის გამოშვებისათვის შესაბამისი პირობების მომზადებას.

ეკონომიკური სტრატეგიის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა ფასწარმოქმნა, საჭიროა ფასების ცენტრალიზებული დაწესების მოქმედი სისტემის არსებითი გარდაქმნა. თავდაპირველად უნდა განისაზღვროს რესპუბლიკაში ცენტრალიზებულად დასამტკიცებელი ფასების და ტარიფების შეზღუდული ნუსხა, რომელიც ბაზრის დაბალანსების კვალობაზე თანდათანობით შეიკვეცება. სულ უფრო მზარდი მასშტაბით უნდა გამოვიყენოთ სახელშეკრულებო და თავისუფალი საბაზრო ფასები.

• • •

გარდამავალ პერიოდში უმთავრესია ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. ვფიქრობ, საქართველოს სამრეწველო პოტენციალის გაზრდა ეკონომიკის განვითარების მთავარი გზაა. სხვა საკითხია, როგორი იქნება თვით მრეწველობის სტრუქტურა. იგი, ჩვენი აზრით, არსებითად უნდა შეიცვალოს. უპირატესობა უნდა მიეცეს შიდარესპუბლიკური ტექნოლოგიური ციკლის შეკვრის დონის ამაღლებას, შიდარესპუბლიკური კოოპერაციის მასშტაბის გაზრდას, თავიდან ბოლოს ამ ბაზისზე ადგილობრივ ნედლეულზე ორიენტაციის გაძლიერებას, მანქანათმშენებლობის მეცნიერებატევადი. ნაკლებ ლითონ და ენერგოტევადი დარგების განვითარებას, მათ შემობრუნებას აგროსამრეწველო კომპლექსისა და მსუბუქი მრეწველობის საჭიროებებისაკენ, საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებას.

რესპუბლიკის ენერგეტიკის ერთ-ერთი საფუძველი უნდა იყოს ეკოლოგიურად უსაფრთხო ჰიდროელექტროენერგეტიკა. მთავარია, მისი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები სწორად განვსაზღვროთ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სიმძლავრეთა ოპტიმალური შეხამებით. ასევე, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ელექტროენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენებას.

აგროსამრეწველო კომპლექსში — სპეციალიზაციის ჩამოყალიბებული დარგების მხოლოდ და მხოლოდ ინტენსიფიკაცია, ხოლო მარცვლეულისა და ბალიჯულ-ბოსტნეულის წარმოების და მეცხოველეობის როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური განვითარება, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ყველაზე უფრო ხელსაყრელი მიმართულება გახდება. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მეაბრეშუმეობის ტრადიციის აღორძინების აუცილებლობა, მეფუტკრეობისა და თევზის მეურნეობის განვითარება.

საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი აღორძინების ერთ-ერთი გასაღები სოფელია. ამიტომ აგრარული რეფორმა ერთგვარი წინსწრებითაც უნდა განხორციელდეს. რეფორმის საფუძველი გახდება საქართველოს მიწის კოდექსი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულფასოვანი სუბიექტი. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე წელს იგი მიიღეს ევროპის რეგიონალური ასამბლეის ასოცირებულ წევრად, ორი დღის წინ კი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (იუნიდოს) წარმომადგენლობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ ეტაპზე საგანგებო მნიშვნელობა ენენება მოსახლეობის სოციალური დაცულობის უზრუნველყოფას.

ამისათვის აუცილებელია, ჯერ ერთი, ყოველი მოქალაქის უმნიშვნელოვანესი უფლებების უზრუნველსაყოფად მტკიცე საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. მეორე, სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტთა განხორციელება და შესაბამისი მექანიზმის (სისტემის) ჩამოყალიბება. მესამე, ისეთი ანტიინფლაციური ღონისძიებები, რომლებიც მოსახლეობის, განსაკუთრებით მცირეშემოსავლიან, ობიექტურად ნაკლები სამეურნეო აქტიურობის უნარის მქონე ნაწილს არ დაუზარალებს. ფასების ცვლილებისას უნდა განხორციელდეს კომპენსაცია, შემოსავლის ინდექსირება, შემნახველ ბანკებში ფულადი დანაზოგების დაცვა. სოციალური დაცვის ღონისძიებათა მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა იყოს შეღავათიანი დაბეგვრა. მეოთხე, სოციალური დაცულობის ღონისძიებათა ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს მოსალოდნელ უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სერიოზულ სტრუქტურულ გარდაქმნებს გამოიწვევს, რასაც მოჰყვება ცალკეული საწარმოების და ორგანიზაციების პროფილის შეცვლა, ხოლო ზოგიერთის დახურვაც, გარკვეული რაოდენობის მუშაზელის გამოთავისუფლება და შედეგად — უმუშევრობა. მისი მოქმედება ეკონომიკურად კარგად გაანგარიშებული მექანიზმის გამოყენებით უნდა შევარბილოთ. აქ პირველი რიგის ამოცანაა შრომითი მოწყობისა და კადრების გადამზადების არსებული სისტემის ძირეული გარდაქმნა (შრომის ბირჟა), ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წამახალისებელი საზოგადოებრივ სამუშაოთა და დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა მობილური სისტემების ჩამოყალიბება. უნდა გავითვალისწინოთ საგადასახადო შეღავათების დაწესება, მოქნილი საკრედიტო პოლიტიკა, შესაბამისი პროგრამების შემუშავება და სუბსიდირება. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელი უნდა იყოს მინიმალური სოციალური გარანტიების შექმნისათვის. რაც შეეხება საწარმოებს, ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, მათ ფართო უფლებები უნდა მიეცეს დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრა საშუალო და მცირე საწარმოების შექმნის ან თავისუფალ მეწარმეობის ხელშემწყობი და ანტიმონოპოლისტური ღონისძიებების გატარება. დაგვჭირდება საგარეო-ეკონომიკური კავშირების მომწესრიგებელი და სხვა ინსტიტუტებიც.

ბუნებრივია, ცვლილებების კვალობაზე შესატყვის გარდაქმნას მოითხოვს რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს — მთავრობის და მისი აპარატის სტრუქტურა და ფუნქციებიც. პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის დემოკრატიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თვითმმართველობის და თვითდაფინანსების რეალური დამკვიდრება.

სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგების სიმძიმის ცენტრმა არსებითად სახალხო ხელისუფლების ძირეულ რგოლებში უნდა გადაინაცვლოს, რისთვისაც მათ მყარი ეკონომიკური ბაზა უნდა შეექმნათ. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დაყოვნებას არ ითმენს კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა, ავტონომიური ფორმირებებისა და ადგილობრივი საბჭოების უფლება-მოვალეობათა მკაფიოდ ჩამოყალიბება. განსახორციელებელ ღონისძიებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მუნიციპალური საკუთრების ფორმირება. მართალია, ეს პროცესი ინტენსიურად და თანდათანობით, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დასაძლევია მართვის ვერტიკალური სტრუქტურების წინააღმდეგობა და, ასე განსაჯეთ, რეგიონალური სეპარატიზმის გამოვლინებაც.

ადგილობრივი მეურნეობის მართვის ორგანიზაციის სტრუქტურების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს აღმასრულებელი ორგანოების არსებული ქვედანაყოფების გარდაქმნის და ახალი რგოლების შექმნის გზით (შესაბამისი კანონპროექტი უკვე გამოქვეყნებულია საბალოო განხილვისათვის).

რესპუბლიკის საწარმოო ძალების განლაგებაში არსებულ დამახინჯებათა დაძლევას, მცირე და საშუალო სიდიდის ქალაქების უფრო ინტენსიურ განვითარებას საგანგებო ყურადღება ჭირდება. თავისუფალი მეწარმეობისა და ადგილობრივი მეურნეობის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ამოცანის სწორად გადაწყვეტას.

და ბოლოს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ არ უნდა დავუშვათ საბაზრო ურთიერთობის გაჯანსაღ ქვეშ ისეთი სფეროების მოქცევა, როგორიცაა განათლება, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, ჯანმრთელობის დაცვა. სახელმწიფოს როლი მათი ეკონომიკური ბაზის განვითარებაში გადაწყვეტი უნდა იყოს.

ამგვარად გვესახება საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებანი, ასეთია ჩვენი აზრით, ახალი ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპები, მიდგომები და პოზიციები.

ნოდარ ჯითანავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ამოცანა — ერთიანობა, პასუხისმგებლობა — საგანგებო!

8 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ მიიღო ამ დღეს თბილისში დაწყებული იმუნოფარმაკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა ჯგუფი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან, აკადემიკოს რემ პეტროვთან ერთად ჯგუფში შედიოდნენ იმუნოლოგთა მსოფლიო საზოგადოების პრეზიდენტი, ბერნის კლინიკური იმუნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ალან დე ვეკი (შვეიცარია), ცნობილი ინგლისელი მეცნიერები — მიდლესის სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის განყოფილების პროფესორი ივანე როიტი და კვლევითი და პროფესიული საზოგადოებების გამომცემელთა ასოციაციის მდივანი, პროფესორი ბერნარდ დონოვანი.

ამ ბევრად შეუწყობს ხელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ინგლისის სამეფო სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად ლონდონში გამომავალი ჟურნალი „ბიომედიცინის მეცნიერება". სტუმრებმა ჟურნალში პუბლიკაციებისათვის მიიწვიეს ქართველი მეცნიერები, რომლებსაც აქვთ ყურადღება სამეცნიერო ნაშრომები იმუნოფარმაკოლოგიის პრობლემებზე. ერთი აზრი ჰქონდათ იმის შესახებაც, რომ მიზანშეწონილია მოეწყოს მედიკოსი და ბიოლოგი სტუდენტების უვალუტო გაცვლა, ახალგაზრდა ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტების გაგზავნა სასწავლებლად და სტაჟირებისათვის ინგლისის, შვეიცარიისა და ევროპის სხვა ქვეყნების იმუნოლოგიის უდიდეს სამეცნიერო ცენტრებში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ალბერტ თავხელიძე და გივი სანაძე.

(საქინფორმი).

ᲘᲛᲣᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ მიიღო ამ დღეს თბილისში დაწყებული იმუნოფარმაკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა ჯგუფი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან, აკადემიკოს რემ პეტროვთან ერთად ჯგუფში შედიოდნენ იმუნოლოგთა მსოფლიო საზოგადოების პრეზიდენტი, ბერნის კლინიკური იმუნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ალან დე ვეკი (შვეიცარია), ცნობილი ინგლისელი მეცნიერები — მიდლესის სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის განყოფილების პროფესორი ივანე როიტი და კვლევითი და პროფესიული საზოგადოებების გამომცემელთა ასოციაციის მდივანი, პროფესორი ბერნარდ დონოვანი.

გულთბილად მიესალმა რა სტუმრებს, გივი გუმბარიძემ მადლობა გადაუხადა სიმპოზიუმის ორგანიზატორებს საქართველოს დედაქალაქში მისი მოწყობისათვის. აქ გამოჩენილი მეცნიერების — სხვადასხვა ქვეყნის იმუნოლოგების მოწვევისათვის, უსურვა ნაყოფიერი მუშაობა. გამოთქვა რწმენა, რომ ახლანდელი შეხვედრა ხელს შეუწყობს შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ საარსებო მნიშვნელობის ისეთი მეცნიერების შემდგომ განვითარებას, როგორიცაა იმუნოფარმაკოლოგია, საზღვარგარეთელ კოლეგებთან ქართველი მეცნიერების კონტაქტების გაფართოებასა და გაღრმავებას მათი ერთობლივი მუშაობის პერსპექტივების განსაზღვრისათვის.

საუბრის დროს სტუმრებმა დიდი შეფასება მისცეს რესპუბლიკაში მიმდინარე გამოკვლევებს სამეცნიერო და გამოყენებითი იმუნოლოგიის დარგში. აღინიშნა, რომ საქართველოში შექმნილია კლინიკური და ექსპერიმენტული იმუნოთერაპიისა და იმუნოფარმაკოლოგიის განვითარების კარგი საფუძველი, რაც სახავს ფართო შესაძლებლობებს ეძებონ შიდსის, ონკოლოგიური, ალერგიული და სხვა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდები. ამასთან დაკავშირებით საუბარი შეეხო იმას, რომ საჭიროა მოგვარონ მეცნიერთა უფრო მჭიდრო საქმიანი ურთიერთკავშირი, მათი თანამშრომლობა იმუნოლოგიის კონკრეტულ პრობლემათა გადაჭრაში. ითქვა, რომ ასეთი თანამშრომლობა, ასეთი ურთიერთობა მოწონავე მეცნიერებასთან იქნება ინვესტიციის საუკეთესო სახეობა, რომელსაც შეუძლია რეალური ნაყოფი მოიტანოს.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲔᲠᲗᲘ თვეზე ნაკლები რჩება საქართველოს მომავალ პარლამენტში დეპუტატთა არჩევნებამდე. უადრესად შემჭიდროებული ვადები, რომლებიც მკაცრად არეგლამენტებენ ანლანდელი საარჩევნო კამპანიის თითოეულ ეტაპს, მკვეთრად ზრდიან მის ორგანიზატორთა პასუხისმგებლობას. ამასთან, პრობლემათა სპექტრი, რომლებსაც ისინი აწყდებიან, ნიადაგ ფართოვდება. ეს კი ნიშნავს, რომ იზრდება საკითხთა რაოდენობაც, რომლებიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოპერატიულ რეაგირებას მოითხოვს. მაგრამ საკმაოდაა ისეთი საკითხებიც, რომელთა გადაწყვეტას კვლავ და კვლავ უბრუნდება ეს კომისია, მიმდინარე კამპანიის მთელ მსვლელობას კონტროლი რომ უნდა გაუწიოს.

2 ოქტომბერს გამართულ მის მორიგ სხდომაზე ასეთი რამდენიმე საკითხი იყო. ისინი უმთავრესად დაკავშირებულია საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობასთან, იმასთან, თუ როგორ იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებებს, როგორ ხვდებიან სიძნელეებს თავიანთი ოლქების ტერიტორიაზე არჩევნების კანონის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფის დროს. ის, რომ აქ ბევრი პრობლემა ისმება, ცხადყო კასპის, სამტრედიის, თიანეთის და წყალტუბოს საარჩევნო ოლქების თავმჯდომარეების ოთარ ჭონიაშვილის, ზაზა რუხაძის, ზურაბ ბერიკაშვილისა და მამუკა ჯიქიის ინფორმაციებმა. თითოეულ ამ ოლქში უკვე შეიქმნა საუბნო საარჩევნო კომისიები, ემზადებიან ამომრჩეველთა სიების შესადგენად, პრაქტიკულად დამთავრდა პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისაგან დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. კასპისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქებში რეგისტრაციაში გაატარეს დეპუტატობის ორ-ორი დამოუკიდებელი კანდიდატიც, რომლებიც პერსონალურად წარმოადგინეს ამომრჩეველთა ჯგუფებმა. ამავე დროს, არც ერთ მათგანს, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკაში საოლქო საარჩევნო კომისიებს, ჯერ კიდევ არა აქვთ შესაბამისი მოწმობები, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებსა და მათ ნდობით აღჭურვილ პირებს უნდა გადაეცეთ რეგისტრაციაში გატარებისთანავე. თიანეთში, მაგალითად, დროზე საარჩევნო კანონის ტექსტიანი ბროშურაც კი არ მიუღიათ. იმასთან დაკავშირებით, რომ დღემდე ადგილებზე არ გადაურიცხავთ ფულადი სახსრები, საარჩევნო ოლქებსა და უბნებში ფურცხდება შენობების აღჭურვის, ინვენტარის, ქაღალდის, საკანცელარიო საქონლის შეძენის, არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის მუშაობა. არის ნაკლოვანებანი თვით საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობის ორგანიზაციაშიც. თითოეულ მათგანში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მათ წევრებად მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებიან, რაც დღის წესრიგში აყენებს კომისიაში მოვალეობების შესრულებისაგან მათი განთავისუფლებისა და მათ ნაცვლად ახალი წევრების დანიშვნის საკითხს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დასახა სათანადო დონეზე არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დახმარების გაწევის კონკრეტული ღონისძიებანი. სამუშაო ჯგუფებს, აგრეთვე კომისიის წევრებს, რომლებიც შესაბამის ოლქებს კურირებენ, დაევალათ ოპერატიულად გაერკვნენ ყველა დასახულ პრობლემაში, შეიმუშაონ ადგილებზე წარმოქმნილ სიძნელეთა დაძლევის პრაქტიკული რეკომენდაციები.

სხდომაზე კვლავ დაისვა არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ტრანსპორტით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკ[illegible]. როგორც საქართველოს სსრ [illegible] მინისტრის მოადგილემ ირა[illegible] [illegible]ძემ განაცხადა, მომავალი წლის [illegible]ების ხარჯზე მოხერხდება [illegible] მსუბუქი ავტომობილის გამოყოფა, რომლის შეძენის უფლება შეიძლება მიიღონ სამინისტროში. მაგრამ კითხვაზე, თუ რამდენად არის გარანტირებული უახლოესი დღეების მანძილზე მაღაზიაში ყველა გამოყოფილი ავტომობილის ერთდროული მიღება, კონკრეტული პასუხი, სამწუხაროდ, მაინც ვერ მიიღეს. ერთი სიტყვით, როგორც გაირკვა, ეს არც შედის რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კომპეტენციაში. ამიტომ კომისიამ გადაწყვიტა ეს საკითხი დაესვა უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის, რომელსაც დავალებული აქვს უზრუნველყოფს არჩევნების მონაწილე პარტიები და ლავრეების შექმნისათვის. რეგულირების მეთოდებით სამეურნეო სუბიექტთა საკუთარი სახსრები უნდა მოხმარდეს სიმძლავრეების რეკონსტრუქციას, პროფილის შეცვლასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

საინვესტიციო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას, რესურსების უმკაცრეს მომჭირნეობას, უნარჩენო ტექნოლოგიების ინტენსიურ განვითარებას და მეორადი რესურსების გადამუშავების დონისა და მასშტაბის არსებითს ზრდას.

გარდამავალ პერიოდში უნდა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების სისტემა. მსოფლიო ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია. აქ ადგილს პოვნა და ბოზიციების განმტკიცება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. მთავარია, თანამიმდევრულად და აქტიურად ვიმუშაოთ ამ პოზიციების მოსაპოვებლად, თანდათან გავზარდოთ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

დიდ როლს ვანჭეშებ შავი ზღვისა და სანაპიროს გეოგრაფიულ-ეკონომიკური ზოლის ინტენსიურ ათვისებას. მრავალმხრივია მისი მნიშვნელობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა მრავალფეროვანი არხებით დაწყებული, მრეწველობის, ვაჭრობის, ზღვაოსნობის, ზღვის სამდიდრეთა ათვისების პრობლემებს მოიცავს. ამიტომ გარე სამყაროსთან საქართველოს დამაკავშირებელი მისი ფუნქცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. სწორედ ამას ისახავს მიზნად შავი ზღვის განვითარების კონცეფცია, რომელიც მთავრობამ დაამტკიცა.

საქართველომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ევროპულ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულფასოვანი სუბიექტი. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე წელს იგი მიიღეს ევროპის რეგიონალური ასამბლეის ასოცირებულ წევრად, ორი დღის წინ კი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (იუნიდოს) წარმომადგენლობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ ეტაპზე საგანგებო მნიშვნელობა ენენება მოსახლეობის სოციალური დაცულობის უზრუნველყოფას.

ამისათვის აუცილებელია, ჯერ ერთი, ყოველი მოქალაქის უმნიშვნელოვანესი უფლებების უზრუნველსაყოფად მტკიცე საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. მეორე, სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტთა განხორციელება და შესაბამისი მექანიზმის (სისტემის) ჩამოყალიბება. მესამე, ისეთი ანტიინფლაციური ღონისძიებები, რომლებიც მოსახლეობის, განსაკუთრებით მცირეშემოსავლიან, ობიექტურად ნაკლები სამეურნეო აქტიურობის უნარის მქონე ნაწილს არ დაუზარალებს. ფასების ცვლილებისას უნდა განხორციელდეს კომპენსაცია, შემოსავლის ინდექსირება, შემნახველ ბანკებში ფულადი დანაზოგების დაცვა. სოციალური დაცვის ღონისძიებათა მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა იყოს შეღავათიანი დაბეგვრა. მეოთხე, სოციალური დაცულობის ღონისძიებათა ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს მოსალოდნელ უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სერიოზულ სტრუქტურულ გარდაქმნებს გამოიწვევს, რასაც მოჰყვება ცალკეული საწარმოების და ორგანიზაციების პროფილის შეცვლა, ხოლო ზოგიერთის დახურვაც, გარკვეული რაოდენობის მუშაზელის გამოთავისუფლება და შედეგად — უმუშევრობა. მისი მოქმედება ეკონომიკურად კარგად გაანგარიშებული მექანიზმის გამოყენებით უნდა შევარბილოთ. აქ პირველი რიგის ამოცანაა შრომითი მოწყობისა და კადრების გადამზადების არსებული სისტემის ძირეული გარდაქმნა (შრომის ბირჟა), ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წამახალისებელი საზოგადოებრივ სამუშაოთა და დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა მობილური სისტემების ჩამოყალიბება. უნდა გავითვალისწინოთ საგადასახადო შეღავათების დაწესება, მოქნილი საკრედიტო პოლიტიკა, შესაბამისი პროგრამების შემუშავება და სუბსიდირება. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელი უნდა იყოს მინიმალური სოციალური გარანტიების შექმნისათვის. რაც შეეხება საწარმოებს, ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, მათ ფართო უფლებები უნდა მიეცეს დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრა საშუალო და მცირე საწარმოების შექმნის ან თავისუფალ მეწარმეობის ხელშემწყობი და ანტიმონოპოლისტური ღონისძიებების გატარება. დაგვჭირდება საგარეო-ეკონომიკური კავშირების მომწესრიგებელი და სხვა ინსტიტუტებიც.

ბუნებრივია, ცვლილებების კვალობაზე შესატყვის გარდაქმნას მოითხოვს რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს — მთავრობის და მისი აპარატის სტრუქტურა და ფუნქციებიც. პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის დემოკრატიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თვითმმართველობის და თვითდაფინანსების რეალური დამკვიდრება.

სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგების სიმძიმის ცენტრმა არსებითად სახალხო ხელისუფლების ძირეულ რგოლებში უნდა გადაინაცვლოს, რისთვისაც მათ მყარი ეკონომიკური ბაზა უნდა შეექმნათ. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დაყოვნებას არ ითმენს კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა, ავტონომიური ფორმირებებისა და ადგილობრივი საბჭოების უფლება-მოვალეობათა მკაფიოდ ჩამოყალიბება. განსახორციელებელ ღონისძიებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მუნიციპალური საკუთრების ფორმირება. მართალია, ეს პროცესი ინტენსიურად და თანდათანობით, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, მაგრამ დასაძლევია მართვის ვერტიკალური სტრუქტურების წინააღმდეგობა და, ასე განსაჯეთ, რეგიონალური სეპარატიზმის გამოვლინებაც.

ადგილობრივი მეურნეობის მართვის ორგანიზაციის სტრუქტურების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს აღმასრულებელი ორგანოების არსებული ქვედანაყოფების გარდაქმნის და ახალი რგოლების შექმნის გზით (შესაბამისი კანონპროექტი უკვე გამოქვეყნებულია საბალოო განხილვისათვის).

რესპუბლიკის საწარმოო ძალების განლაგებაში არსებულ დამახინჯებათა დ

პოზიცია

სიყვარული სიყვარულის წილ!

მთიანი აჭარის გასული წლის 19 აპრილის ტრაგედიამ ახალი საზრუნავი გაუჩინა საქართველოს — სასწრაფოდ გახდა საჭირო 3000-მდე ოჯახის ჩამოსახლება სხვადასხვა რაიონში. ხალხმა ყველაფერი იცონა, რომ ჩასახლების ეს მტკივნეული პროცესი სწორად წარმართულიყო. ეჭვი არაა, ეს დიდი გარჯა უკვალოდ არ ჩაიკლის.

ბუნებრივია ისიც, რომ ამგვარ პროცესებს წინააღმდეგობებიც ექმობება. როგორც ვიცით, ასეთ დროს შესაძლოა აჩქარებულობითა და ზოგიერთი მოსალოდნელი მოვლენის გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომებიც. ხომ იყო შემთხვევები, როცა სასაკეთოდ ჩაფიქრებულ განზრახვას საპირისპირო შედეგი მოჰყოლია. ამ დროს არ სძინავთ პროვოკატორებს, ამღვრეულ წყალს რომ ელოდებიან. თუ არა პროვოკაცია, სხვას რას უნდა მიეწეროს, რომ ამა წლის აპრილში აჭარას ასსრ მინისტრთა საბჭოს შენობის წინ საპროტესტო აქციის ზოგიერთმა მონაწილემ სამრახისი სტუკვები წარმოთქვა საქართველოს ზოგიერთი კუთხის მისამართით. რა თქმა უნდა, კაცი არ დაიჯერებს, რომ ეს იყო აჭარის მკვიდრთა საერთო აზრი. ამაში დამარწმუნა ამ ზაფხულს შეხვედრებმა აჭარაში, როცა ადგილობრივი მოსახლეობა გამოხატავდა დიდ მადლიერებას თანადგომისათვის, რაც მათთვის გაწერვების ჟამს გამოუხენიათ სხვადასხვა კუთხეებში. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ნუთუ ეს ტრაგედია იყო აუცილებელი, ქართველებს ერთმანეთის გულში ღრმად ჩაგვეხედა და ურთიერთსიყვარული განგვეცადაო. იყო თითო-ოროლა საწინააღმდეგო აზრიც, მაგრამ მათი უსუსურობისა და უსაფუძვლობის გამო ახლა მათზე შეჩერება არცა ღირს. მთავარი ისაა, რომ კეთილება დიდი საქმე საქართველოსათვის, და ეს შეუჩეჩავი პროცესია.

ჩვენი წერილის მიზანს არ წარმოადგენს აჭარის პრობლემების განხილვა, ეს უფრო ვრცელ და საფუძვლიან მიდგომას საჭიროებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში წერილის მოკრძალებული ამოცანაა ზოგიერთი იმ მომენტის გახსენება, სადაც კარგად ხანს საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა დიდი ბრუნვა აჭარისადმი. ცოტა შორიდან დავიწყოთ.

გასული საუკუნეში აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ნატვრა — აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. მაგრამ დამპყრობლის 300-წლიან ბატონობას თავისი დაღი დაუსვია აჭარის ეკონომიკაზე, კულტურაზე, კუთხე უაღრესად ჩამორჩენილია, უცხო რელიგიას ღრმა კვალი დაუმჩნევია აჭარი კაცის ცნობიერებაზე. ამას ემატება ავდექითი მუჰაჯირობის პერიოდი, როცა სხვადასხვა ძალები მაპმადიან ქართველებს ფუნქციებში უხმობენ, თითქოსდა მათი გადარჩენის ერთად-ერთი ადგილი იქაა. დაახლოებით 150 ათასი მაპმადიანი ქართველი გაუდგა თურქეთის გზას. ამბობენ, რომ იმ დროის თურქეთის დიდი მუფტი ლომან ეფენდი ქარცივაძე (წარმოშობით შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურიდან. დასაფლავებულია იქვე) თურქეთ-საქართველოს საზღვარზე შეეგება მუჰაჯირებს და უთხრა, თქვენი სამშობლო ისაა, რომელსაც სტოვებთო. მისი წყალობით ძალიან ბევრი თურქეთს მიმავალი აჭარელი უკან გამობრუნებულა. ჭეშმარიტად მამულიშვილური ღვაწლი იყო ეს და მას ჰქონდა მორალური უფლება ანდერძისა — სამშობლოში დამასაფლავეთო. მუჰაჯირობას, რა თქმა უნდა, წინ აღუდგა ქართველი ინტელიგენცია, რამაც საგრძნობლად შეამცირა მუჰაჯირთა რიცხვი...

ქართველი ხალხი, უპირველესად კი მისი ინტელიგენცია, ყველაფერს აკეთებდა აჭარაში შემორჩენილი ქართული სულის განმტკიცებისათვის. ამ მეცადინეობის შედეგი იყო ქალაქ ბათუმში წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ქართული სკოლის დაარსება. მაგრამ აჭარა მარტო ბათუმი ხომ არაა, აჭარის სოფლებში კი უაღრესად მძიმე სიტუაციაა. საკმარისი იყო შედარებით სტაბილური სიტუაციის დადგომა, და აჭარის სოფლებსაც დიდი მესიიად „შეესივნენ“ სწავლულები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ადგილობრივებმაც იგრძნეს ეს თანადგომა და თავისიანებად მიიღეს კეთილშობილური მისიით მობრძანებულნი. თანდათანობით აჭიურთა სუფრაზე ღვინოც გაჩნდა, ღვინიანი სუფრის ტრადიცია კი მივიწყებული იყო აჭარაში, ან შემთხვევაში თავისი სიტყვა თქვეს მობრძანებულმა ქალბატონებმა, რომელთაგან ბევრმა აქვე შექმნა სანიმუშო ოჯახი.

აჭარაში მოსულთა მიმართ (ასე უწოდებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აქ მომუშავე სპეციალისტებს) განსაკუთრებული სიყვარული და მოკრძალება იყო. მათი საოცრად დიდი უურადღება ჩვენდამი იმთავითვე კეთილად განგვაწყობდა მათი კუთხეების მიმართაც. არც იყო შემთხვევითი, რომ მაშინ სოფლად ყოველგვარი კუთხური ამბიციების გარეშე ვიზრდებოდით. ვიცოდით, რომ იყო საქართველო თავისი მშვენიერი და განუმეორებელი კუთხეებით. მოსულები, დღევანდელი ზოგიერთი ვიაპატრიოტისაგან განსხვავებით, ზეკი სათვალეებიდან როდი იყურებოდნენ და არც უყურმოკრეულ ამბებზე აგებდნენ თავიანთ წარმოდგენებს; თავიანთ მხარეებში ისინი აჭარის შესახებ უამბობდნენ იმას, რაც საკუთარი თვალით ენახათ და საკუთარივ განეცადათ. ეს იყო მართალი აზრი აჭარაზე. სამართლე კი, რაოდენ მწვავეც უნდა იყოს ის, ყოველთვის მაღლა დგას სიცრუეზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არაერთხელ შეეხვედრიკარ ხალხს, აჭარაზე ლტაკეებით რომ ლაპარაკობდა, თუმცა თვითონ იქ არასოდეს ყოფილა. ბოლოს გარკვეულა, რომ ამას ეს წარმოდგენა აჭარაში მომუშავე ახლობელს მონათხრობის მიხედვით შექმნია. მოკლედ, აჭარაში მთგანი წლების განმავლობაში სკოლის საერთო საცხოვრებლის ნახევრად გამართულ ოთახებში ცხოვრობდნენ ოჯახით ერთად. კეთილად ვიხსენებ ჩემს მასწავლებლებს. ბევრმა ახლობელმა გამომიტირა კიდეც. მაშინ ხომ ახალი ჩაქრობილი იყო 1929 წლის გამოსვლები აჭარაში. როდესაც თქვენს ოჯახში მივედი, იმ მთასავით ბიძაშვილებმა საკუთარ დასავით მიმიღეს და მალე ვეღარც კი ვგრძნობდი ამ ოჯახის შვილი რომ არ ვიყავი: თითქმის ყველაფერი გაიხსენა ქალბატონმა თამარმა, რაც დაკავშირებული იყო მის მუშაობასთან ორი წლის განმავლობაში.

მინდა გავიხსენო ექიმი ალექსანდრა კაკაურიძე, რომელიც ათეული წლის განმავლობაში იყო ექიმად სხალთაში. ქალბატონი ალექსანდრა თერაპევტი გახლდათ, მაგრამ მას უხდებოდა გინეკოლოგობაც, პედიატრობაც და სტომატოლოგობაც კი. მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი სხალთის ყველა სოფელი, იცოდა ყველა ოჯახის მდგომარეობა და აქაური მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვთა ავკარგი. მის რჩევა-დარიგებებს მაგიური ძალა ჰქონდა. ხანში შესული სხალთელები ახლაც იტყვიან „ი, ნამდვილი ექიმი ის იყოო!“.

როგორ შეიძლება დაგავიწყდეს კაცს გურიიდან მობრძანებული ქალბატონები — ჩიტო წილოსანი და თამარ ჩხარტიშვილი, დიდი ხნის განმავლობაში რომ იყვნენ სკოლის დირექტორებად სოფელ წყმანასა და სოფელ ფაჩხაში. ქალბატონი თამარი იქიდან წამოსულ სტუდენტებს ყოველ შეხვედრაზე ჯიბეში ფულს „შემოგვაპარებდა“ ხოლმე.

რა დამავიწყებს ჩემს მასწავლებლებს, სხალთის სკოლებში რომ მოღვაწეობდნენ. სკოლა იყო მათი ოჯახიც და სამსახურიც. ბევრი მათგანი წლების განმავლობაში სკოლის საერთო საცხოვრებლის ნახევრად გამართულ ოთახებში ცხოვრობდნენ ოჯახით ერთად. კეთილად ვიხსენებ ჩემს მასწავლებლებს. გავიდა ხანი და უკვე სტუდენტებს ბატონი ილია ერთ-ერთ შეხვედრაზე გამოგვიტყდა, რომ მაშინ ახალი საგნის შესახებ არაფერი გამეგებოდა და თქვენთან შეხვედრის წინ საგანგებოდ ვამუშავებდი ლიტერატურასო. რა საშეუხარია, რომ ბატონი ილია გოგუაძე ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან...

ხულოს რაიონის სოფელ ყიშლაში სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აჭარის დამსახურებული მასწავლებელი, წარმოშობით ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურებელი ქალბატონი მარგალიტა კეკელიძე. აქვე ვიტყვი, რომ ყიშლა თურქულად ეწოდება საზაფხულო საცხოვარს. ამ სამი წლის წინ აქაურებმა „ლიტერატურულ საქართველოში“ დააყენეს სოფლისათვის სახელის შეცვლის საკითხი, მაგრამ ზოგიერთი ბიუროკრატის გამო, ამ საქმეს ჯერჯერობით თავი ვერ მოეპა. ქალბატონმა მარგალიტამ სამაგალითო ოჯახი შექმნა და თანასოფლელებში ისეთი საყვარული დამსახურა, რომ დიდი თუ პატარა დედოს ეძახდა (ის ხომ ფუტკრის დედოსავით იყო ამ სოფლელთათვის). როცა გასული წლის თებერვალში სოფელში ამბავი მოვიდა — ჩაქვში დედო გარდაიცვალაო, არამარტო თანასოფლელები, არამედ მეზობელი სოფლებიდანაც დაიძრა ხალხი, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო. იმის მიუხედავად, რომ დიდთოვლობის გამო გზები ჩაკეტილი იყო, ნახევარი გზა ფეხით გამოიარეს და დასაფლავებაზე მაინც ჩამოვიდნენ. აღწერა მიჭირს ისე დაიტირეს ეს ამაგდარი ქალი და ასე გამოხატეს მის მიმართ დიდი მადლიერება თანასოფლელებმა.

ამავე სოფელში ათეული წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ბატონი ვიქტორ ნინუა, სენაკის რაიონის სოფელ ზხეფიდან ჩამობრძანებული. ის ყიმლელთა ოჯახებში ისე მიღებული იყო, რომ ყველგან თავისუფლად შედიოდა და თუკი მასპინძელი არ დახვდებოდა, სუფრასაც თვითონვე გაიშლიდა. თვითონ უშვილ-ძირო, დიდად ბედნიერი იყო, როცა სოფელში ახალშობილი გაჩნდებოდა. მისთვის კარგ ქართულ სახელს შეარჩევდა, არაჩვეულებრივად ლამაზი ასოებით დაწერილ საკუთარ ლექსსაც მიუძღვნიდა და თან იტყოდა — „ახლა ერთი ქართველით მეტია ჩვენი ქვეყანა!“. ასაკში შესულ ბატონ ვიქტორს წაბლანელებმა ღირსეული გაცილება მოუწყვეს (ყიშლა წაბლანაში შემავალი პატარა სოფელია და უშუალოდ ესაზღვრება იმ უბანს, სადაც 19 აპრილის ტრაგედია დატრიალდა). 19 აპრილის ტრაგედიამ შეძრა ბატონი ვიქტორი. ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ჩამოსვლა, მაგრამ დაღუპულთ ლექსი მიუძღვნა. ასე დაიტირა ისინი და ამგვარად ანუგეშა მათი ჭირისუფალნი.

ამ ცოტა ხნის წინათ აჭარის პრობლემებზე საუბრისას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბატონმა ვახტანგ შამილაძემ ასეთი რამ. თქვა: ჩვენს სკოლაში (ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ახალშენი) დირექტორი იყო ბატონი ანტონ ცოტაძე. იდეალური წესრიგი ჰქონდა სკოლაში. მისი რიდით პაპიროსს ვინ მოსწევდა. ერთხელ ერთი მოსწავლე, ანტონ მასწავლებელს რომ არ შეენიშნა, ხეზე ასულიყო და იქ ეწეოდა პაპიროსს. მაგრამ ბატონ ანტონს მაინც შეუმჩნევია და ელოდა ხის ძირში, რათა თავის ქურაში გაეტარებინა აბეზარი მოსწავლეო.

ვინ იცის, კიდევ რამდენი ძვირფასი ადამიანის სახელია, რომელთაც ფართო საზოგადოებრიობა არ იცნობს თვით აჭარაშიც კი. ეს ის ხალხი იყო, ძნელბედობის ჟამს იქ რომ მიაშურა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა საქართველოს და ასე მოიხადა თავისი მამულიშვილური ვალი. ეჭვიც არ მუპარება, რომ ის დროც მალე დადგება, როცა ყველას დამსახურება მისსა-მისსა აღიარსებება და მათი დამსახურებაც შესაბამისად წარმოჩნდება.

ათეული წლების განმავლობაში დიდი გულისხმევით დათესილ სიყვარულსა და სიკეთეს უკვალოდ არ ჩაუვლია. აჭარის მკვიდრნი ამ სიყვარულსა და სიკეთეს სიყვარულით და სიკეთით უპასუხებდა და უპასუხებს. იმ ზოგიერთთა გასაგონად კი, რომლებიც კუთხის „ბოლმაგის“ მანტიას ამოფარებულნი, შურსა და სძულვილს თესავენ, უნდა ვთქვა: ფუჭი და საძაგისი საქმიანობისათვის მოუკიდიათ ხელი, რომელიც მომავალში უკეთეს შემთხვევაში შეიძლება შემორჩეს როგორც ერთი არასასიამოვნო ეპიზოდი ძირძველი ქართული კუთხის ისტორიაში.

მეხსიერებიდან სახელდახელოდ მოხმობილ ფრაგმენტულ მოგონებებზე დამყარებული ჩვენი წერილი იმის ღრმა რწმენით გვინდა დავამთავროთ, რომ სასიკეთო გზაზე შემდგარ საქართველოს ვერავითარი ძალა ვეღარ გააჩერებს. ამ გზაზე მას ბევრი წინააღმდეგობაც შეხვდება, მაგრამ არა ისეთი, რომლის გადალახვაც არ ძალუძს.

მიხეილ მახარაძე,
ფილოსოფოსის მეცნიერებათა დოქტორი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ეკოლოგია ამ ბოლო წლების მანძილზე სულ უფრო ფართოდ იმკვიდრებს ადგილს ჩვენს ცხოვრებაში. იგი თანდათან მოიცავს ახალ-ახალ სფეროებს და ბოლოს, გარემო ბუნების დაცვის ვიწრო, ლოკალური პრობლემებიდან მოადგა უშუალოდ ადამიანს, მართლაც, განა არ სჭირდება ცხოვრების გარდაუვალი გაუარესების პირობებში უმწეოდ დარჩენილ ადამიანს, რომელიც ამასთანავე მავნე ფაქტორების მძლავრ შემოტევას განიცდის, დაცვა? თან დასაცავი არა ვიღაც ერთი ცალკე აღებული, კონკრეტული ადამიანი, არამედ მთელი კაცობრობა. უნდა ვიზრუნოთ ყოველი ერის გენოფონდის შენარჩუნებისათვის. და თუ ამას დღეს არ მოგიმოქმედებთ, ზვალ გვიანღა იქნება. ამაზე იყო სჯაბაასი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

გაითვალისწინა რა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დაუყოვნებლივ გაძლიერების, მისი გენოფონდის სტაბილურობის დაცვის ეფექტიანი სისტემის შექმნა-დანერგვის, აგრეთვე ამ მიმართულებით სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა გაღრმავების გადაუდებელი საჭიროება, პრეზიდიუმმა მიიღო რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს წინადადება, რომ ჯანდაცვის ინფორმატიკისა და კომპლექსური ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო-გენეტიკური კვლევის ავტომატიზაციის ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნას გენეტიკური ეკოლოგიის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი. ეს ახალი ცენტრი იკისრებს აღნიშნული მიმართულებით პრობლემათა მთელი კომპლექსის დამუშავებას და გამოკვლევების დანერგვას.

მიღებულია გადაწყვეტილება განზორციელდეს რესპუბლიკის თევზის მეურნეობის მართვის სტრუქტურის დეცენტრალიზაცია. ამ საქმეში საფუძვლად აღებულია ფენზისი: მიენიჭოთ თევზის მოშენებელ, თევზსაჭერ და თევზის გადამუშავებელ საწარმოებს საეურნეო დამოუკიდებლობა იურიდიული პირის უფლებით.

სსრ კავშირის მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის კანონის დროული და განზრახული შესრულების დამატებითი ღონისძიებების საკითხის განხილვისას სხდომაზე აღინიშნა, რომ შარშანდელი ოქტომბრიდან, რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების თანახმად, პენსიები გადაუანგარიშდა და მოემატა თითქმის 300 ათას პენსიონერსა და ინვალიდს, რაზეც ყოველთვიურად იხარჯება დამატებით 8 მილიონ მანეთზე მეტი. ამ დადგენილების სრული მოცულობით შესრულებისას სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული მიზნებისათვის გამოყოფილი თანხა წელიწადში 250 მილიონ მანეთს მიაღწევს. მაგრამ მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წარმოიეს. ეს ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ სუსტია სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აკლიათ მუშაკთა კვალიფიციური კადრები. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, შესაბამის უწყებებსა და სამინისტროებს მიეცათ კონკრეტული დავალებანი, რათა, რაც შეიძლება მალე გამოასწორონ მდგომარეობა, გადაწყვიტონ პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური უზრუნველყოფის საჭირბოროტო საკითხები.

თბილისში სულ მალე გაიხსნება გაერთიანებული ერების ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (იუნიდო) წარმომადგენლობა. ახალი წარმომადგენლობა ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ინტეგრაციას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, საქართველოს სახალხო მეურნეობაში იმ მოწინავე მიღწევების დანერგვას, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებს აქვთ მეცნიერების, ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიის დარგში.

დამტკიცებულია კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გადაეცეს მიწები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისათვის.

რეგისტრაციაში გაატარეს მთელი რიგი ახალი საზოგადოებისა და ასოციაციების წესდებანი. მათ შორისაა საქართველოს მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანი“, საქართველოს ეროვნული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენი“, საქართველოს ინტელექტუალური ასოციაცია „თავისუფალი აზრი“ და სხვები.

მიღებულია გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებზეც.

(საქინფორმი).

მეცნიერების სამყაროში



ბიბლიოთეკის იუბილე

გაისად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა 50 წლის იუბილეს აღნიშნავს.

დღეისათვის ბიბლიოთეკა წიგნების უდიდესი საცავია — 8 მილიონი სხვადასხვა გამოცემა აქვთ. ბიბლიოთეკით ყოველდღიურად 26 ათასზე მეტი კაცი სარგებლობს.

ბიბლიოთეკის კოლექტივი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. ინფორმაციის გაცვლა ხდება მსოფლიოს 60 ქვეყანასთან. აქ უშვებენ წიგნის ისტორიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის 140 სხვადასხვა გამოცემას.

სურათებზე: სამკითხველო დარბაზში; კატალოგებში ლიტერატურის ფართო არჩევანია.

ვალხაზ დათიკაშვილი ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗᲘᲡᲐᲜ

საკრებული იუწყება
4 ოქტომბერი

ტელეტაიპის ლენტიდან

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ. სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოს წევრი ე. პრიმაკოვი მოსკოვიდან ბაღდადში გზად შეჩერდა ანკარაში. იგი მიიღო იორდანიის მეფე ჰუსეინმა. პრიმაკოვმა მეფეს გადასცა სსრ კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის წერილი, რომელიც სპარსეთის ყურეში შექმნილ მდგომარეობას ეხება.

საუბრის დროს მხარეებმა გამოთქვეს შეშფოთება ამ რეგიონში მოსალოდნელი შეიარაღებული შეჯახების გამო. გამოთქვა აზრი, რომ კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევა პოლიტიკური გადაწყვეტის' გზით უნდა მოხდეს.

ე. პრიმაკოვი მიემართება ერაყს როგორც სსრ კავშირის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი შეხვდა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ ამ შეხვედრაზე განიხილეს „შეერთებული შტატების სურვილი და იმედი, გაიმართოს დიალოგი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებსა და სსრ კავშირს შორის, რამაც ისინი შეთანხმებამდე უნდა მიიყვანოს“.



ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲙᲐᲜ ეს შენობა ყველაზე მაღალია ევროპაში. იგი აღმართულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მაინის ფრანკფურტში. შენობის სიმაღლე 256,5 მეტრია. ეს ფოტო კი იმ დროს გადაიღეს, როცა მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ფილარმონიის საზეიმოდ მორთულ საქეთო დარბაზში ოფიციალური ცერემონია გაიმართა გერმანიის გაერთიანების გამო, რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი რიჰარდ ფონ ვაიცზეკერი, კანცლერი ჰელმუტ კოლი, მთავრობის წევრები, პარლამენტარები, პოლიტიკური პარტიებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

მმართა რა შეკრებილთ, რ. ფონ ვაიცზეკერმა თქვა: დღეს ჩვენი გული აღსავსეა სხარულითა და მადლიერებით, მაგრამ ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობითაც. ისტორიამ მოგვცა ახალი, რომელიც წინათ გერმანელებს არასოდეს არა ჰქონიათ. დავიდგა უნიკალური ისტორიული პერიოდი, როცა სიტუაცია მსოფლიოში ნამდვილად შეიძლება უკეთესობისაკენ შეიცვალოს. გერმანიის ერთიანობის მიღწევა საერთოევროპული პროცესის ნაწილია, რომლის მიზანია ხალხთა თავისუფლების უზრუნველყოფა და კონტინენტზე ახალი მშვიდობიანი წესრიგის შექმნა. ჩვენ, გერმანელებს, გვინდა წვლილი შევიტანოთ ამ ამოცანების გადაწყვეტაში.

დღეს, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, ერთიანი გერმანელი ერი იკავებს თავის აღიარებულ ადგილს ევროპაში. ჩვენ ახლა გავაქვს სახელმწიფო, რომელსაც აღარ მივიჩნევთ დროებითად და რომლის მთლიანობას უკვე სადავოდ აღარ ხდიან ჩვენი მეზობლები. ახლა დავა საზღვრების შესახებ კარგავს ყოველგვარ აზრს. საზღვარი კი არ უნდა თიშავდეს სახელმწიფოებს, არამედ ხიდი უნდა იყოს მეზობლობის გზაზე — ასეთია ჩვენი ნება, განაცხადა რ. ფონ ვაიცზეკერმა.

40 წელზე მეტ ხანს, თქვა მან შემდეგ, „ცივი ომის“, ორი საზოგადოებრივი სისტემის მეტოქეობის პირობებში ვცხოვრობდით. ახლა ეს ფაზა მთავრდება. საბჭოთა ხელმძღვანელობამ პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით გააცნობიერა, თუ რაოდენ საჭიროა განხორციელდეს რეფორმები დემოკრატიისა და საბაზრო მეურნეობის მიმართულებით. ცენტრალური, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში მოხდა უპრეცედენტო მშვიდობიანი რევოლუციები. რეფორმების საბჭოთა კურსის წარმატების გზაზე ჯერ კიდევ დასაძლევია ბევრი სიძნელე. მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ვთქვათ, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ამ პროცესს. და ბევრ ადამიანს, მათ შორის გერმანელებსაც, აქვს საფუძველი მადლობა თქვას ამისთვის.

გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, როგორც რ. ფონ ვაიცზეკერმა თქვა, ის იქნება, რომ ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, აგრეთვე ევროპის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მჭიდრო თანამშრომლობის გაწვითარებას. ვიცით, აღნიშნა მან ამასთან დაკავშირებით, რომ მომზადალი სტაბილურობა კონტინენტზე უშუალოდ არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირის წვლილზე. სსრ კავშირის დასავლეთი საზღვარი არ უნდა მივიჩნიოთ ევროპის აღმოსავლეთ საზღვრად, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა.

„გერმანიის ერთიანობა ევროპის ურთიერთმოქმედების შედეგი იყო და ამავე დროს ევროპის გაერთიანების საფუძველიცაა“, — განაცხადა გამოსვლაში ბუნდესტაგის თავმჯდომარემ რიტა ზიუსმუტმა. ჩვენ გვინდა, თქვა მან, რომ გერმანია იყოს პარტნიორი სახელმწიფო, რომელსაც ექნება მსოფლიო საქმეთა გამო შორსმჭვრეტელობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ გვინდა მივაღწიოთ მეტს, ვიდრე ევროპის საშინაო ბაზრის შექმნაა. ჩვენი მიზანია გაერთიანებული ევროპა. საბჭოთა კავშირი და პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი ამ ევროპის ნაწილია. მათ ჩვენი იმედი აქვთ, მაგრამ ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია დავრჩეთ ატლანტიკური კავშირის შემადგენელ ნაწილად. ჩვენ, თქვა რ. ზიუსმუტმა, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ გამაჩანაგებელი ომით გამოწვეული მეზობლების მსხვერპლი. ეს უნდა გვახსოვდეს და გამოგვეხილეს დასკვნები — აი, ჩვენი მოვალეობა.

გერმანიის გაერთიანება მიმართული არ არის ჩვენი მეზობლების ინტერესების წინააღმდეგ, თქვა გამოსვლაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის ყოფილმა პრეზიდენტმა საბინე ბერგმან-პოლმა. „3 ოქტომბერი, — აღნიშნა მან, — ნიშნავს მიტევებასა და წინსვლას. დამამძიმებელი წარსულის მიტევებასა და წინსვლას გერმანიისკენ, რომელიც ეძებს მშვიდობას საკუთარ თავში და თავის მეზობლებთან... ჩვენ ასევე უნდა ვაღიაროთ გერმანიის ისტორიის შეცდომები. ოსვენციმი მუდამ გაგვახსენებს, რომ ისტორიის დავიწყება არ შეიძლება“.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა აგრეთვე დასავლეთ ბერლინის მმართველი ბურგომისტრი ვალტერ მომპერი.

საზეიმო ცერემონია ბერლინის ფილარმონიის საზეიმო კონცერტით დამთავრდა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲨᲘ

ᲔᲠᲐᲧᲘ კვლავ აგრძელებს მის მიერ ოკუპირებულ ქუვეითისა და საუდის არაბეთის საზღვრებთან თავისი ჯარების თავმოყრას. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ახლა ამ რაიონში უკვე 430 ათასი ერაყელი ჯარისკაცია. მათ ყოველდღიურად ემატება ახალი სატანკო ნაწილები და არტილერია.

ამასთან, სირიის საგანგებო იუწყება, რომ ერაყის შეიარაღებულ ძალების მთავარმა ნაწილმა ნაციონალურმა გვარდიამ სადამ ჰუსეინის ბრძანებით დატოვა ქუვეითის ტერიტორია და ერაყში გაწყვიტა. დისლოკაციის მთავარ მიზეზად ასახელებენ ამ ნაწილში საკვების ნაკლებობის გამო გაჩენილ უკმაყოფილებას.

პენტაგონის მონაცემების თანახმად სპარსეთის ყურეში იმყოფება 170 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. ათასი ამერიკელის და მათი მომხრის გვამილი დაბრუნდება მათს სამშობლოში, თუ ამ რეგიონში გაჩაღდება ომი, განაცხადა ერაყის ოფიციალურმა რადიომ. როგორც ვიეტნამის ომმა აჩვენა, ჰაერში უპირატესობას ამერიკა ვერ მიაღწევს. ასე რომ, იგი იძულებულია ბრძოლები გაიჩაღოს ხმელეთზე შესახიშნავად შეიარაღებული და გამობრძმედილი ერაყელი ჯარისკაცების წინააღმდეგ, რაც მეტად დააზარალებს მას, აღნიშნა რადიომ.

ქუვეითელებმა ჩაატარეს 413 საბრძოლო ოპერაცია იმ ორი თვის მანძილზე, რაც ერაყი შეიჭრა აქ. განაცხადა ქუვეითის გაზეთმა „ალ-ანბამ“. განადგურებულია მტრის ასობით ჯარისკაცი, ერაყის არმიამ განიცადა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა აზიზმა დაამთავრა ხანმოკლე ვიზიტი იემენში და ბაღდადში დაბრუნდა. ერაყის ტელევიზიის ცნობით, ვიზიტის მიზანი იყო, იემენის ლიდერისათვის ალი ამდელ სალეხისათვის სადამ ჰუსეინის წერილის გადაცემა. იგი დაემთხვა საინფორმაციო ცნობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ერაყისათვის საჰაერო ბლოკადის გადაწყვეტილების შესახებ.

იერუსალიმში აურზაური გამოიწვია შეცდომით ჩართულმა სირენამ, რომელიც საჰაერო თავდასხმას იუწყებოდა. ათასობით მოქალაქემ თავშესაფარს მიაშურა, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ გამოცხადდა, რომ მოხდა გაუგებრობა.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა სისტემამ მოიტყუა, თქვა იერუსალიმის მერმა ტ. კოლეკმა. ინციდენტი დაემთხვა ისრაელიანებზე აირწინაღების დარიგების გამოცხადებას, რამაც მასობრივი ფსიქოზი გამოიწვია.

ᲡᲐᲓᲐᲛ ᲰᲣᲡᲔᲘᲜᲘ... ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲨᲘ

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ქუვეითში მოინახულა აქ განლაგებული ერაყის ჯარების ხელმძღვანელობა. მაღალი ჩინის ოფიცრებთან გამოსვლისას მან ქუვეითი ერაყის განუყოფელ ნაწილად დასასახელა. აღნიშნა, რომ ერაყელ ხალხს არ ეშინია ამერიკელთა მუქარისა და მზად არის თავი დაიცვას.

ერაყის ტელევიზიის რეპორტაჟში, რომელიც ჰუსეინის ამ მ

ინთეგა რამპის ჩიტალდნები

ეროვნული იდეების მეგაირატრე

დღეს, 5 ოქტომბერს მორიგ 110-ე სეზონს ხსნის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ახალი სეზონი პრემიერით იწყება — ეს გახლავთ დავით ტურაშვილის პიესა „დიალოგი ორმოქმედებიანი პიესისათვის", რომლის დადგმა განახორციელა რობერტ სტურუამ, სპექტაკლის მხატვარია მირიან შველიძე, კომპოზიტორი გია იანჩელი, ქორეოგრაფი რეზო წულუკიძე, მონაწილეობენ — გიორგი გეგეჭკორი, ავთანდილ მახარაძე, თამარ თარხნიშვილი, ზეინაბ ბოცვაძე, მანანა გამცემლიძე, ჯემალ ღაღანიძე, ტრისტან ყველაიძე, დავით უფლისაშვილი, ხათუნა მეგდლიძე, გია ძნელაძე, მურმან ჯინორია, კახა თავგართქილაძე და სხვები. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გვესაუბრა ეს სპექტაკლი და უნდა ითქვას, რომ სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია ამგვარი ხასიათის ნაწარმოების გამოჩენა რუსთაველელთა სცენაზე. იგი ხომ ეროვნული იდეების მებაირახტრე იყო დღიდან ჩასახვისა — ერის სვე-ბედით შეპერვებული, მისი მოზარე ძნელბედობის ეამს და სიხარულის მაცნეც, როცა მას ულბინდა. თეატრი ამ ახალი ნამუშევრით თავის დამოკიდებულებას გამოხატავს თანამედროვეობის მიმართ, ერის სასიცოცხლო ფიქრს ეხმიანება შემოქმედებითი კოლექტივის სათქმელი, ალბათ ბევრ რამეზე დააფიქრებს მაყურებელს ეს სპექტაკლი, საოცარი ძალით შევიგრძნობთ თუ როგორ იცის განმეორება ისტორიამ, იგი თვალწინ გაგვიტარებს უახლოეს წარსულს და საოცარი სიცხადით შევიგრძნობთ დღევანდელობას, ჩვენს თავს და ეშმარიტებასაც. წინ გვიდევს დიდი მაგალითი, განვლილი გამოცდილება და შეცდომის უფლება ახლა აღარ გვაქვს, ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა, — „ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი!".

პრემიერის შესახებ და სეზონის სხვა სიახლეებზე გვესაუბრება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი რობერტ სტურუა.

— ძნელია თეატრმა მოიპოვოს ისეთი დრამატურგია, რომელიც დღეს ადამიანთა გულისყურს მიიპყრობს. მე იმით მომიზიდა ახალგაზრდა დრამატურგის დავით ტურაშვილის პიესამ, რომ იგი დოკუმენტურია, ასახავს 20-იანი წლების ქართულ სინამდვილეს. პუბლიცისტური გაგებით ეს პიესა აქტუალურ საკითხს ეძღვნება და დაინტერესებს მაყურებელს. პიესის სიტუაციები, ადამიანთა დაძაბული, ისტორიის ზღვარამდე მისული ურთიერთობები ჩვენს თანამედროვე ყოფას მოგვაგონებს. საქართველოს ყველაზე დიდი ისტორიული შანსი მაშინ ჰქონდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა; დაბნეულმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ, შინაუთანხმოებამ დაღუპა მაშინდელი საქართველო, ჩვენ არ გვინდა იგივე განმეორდეს დღესაც. ჩემს სათქმელს, ჩემს დამოკიდებულებას თანამედროვეობისადმი, ამ სპექტაკლით გამოვხატავ.

თეატრში მთელი რიგი სიახლეებია, შეიქმნა სამხატვრო კოლეგია შვიდი წევრის შემადგენლობით: გიზო ჟორდანია, გია იანჩელი, გოგი ალექსი-მესხიშვილი, გურამ საღარაძე, ედიშერ მაღალაშვილი, თეატრის დირექტორი თემურ ღლონტი და მე. ჩვენთან მოხდა დასის გადახალისება — ახლა შტატში 80-მდე მსახიობი დარჩა. ბოლო წლებში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა თეატრში, პერსპექტივა თითქმის აღარ ჩანდა, თეატრი თითქოს მოიგუდა, ამდენი მსახიობი და რეჟისორი წლების მანძილზე უმოქმედოდაა, ისინი კარგავენ პროფესიას. არანაირად არ ხერხდება 150 მსახიობის მუდმივი დასაქმება. თეატრის სასიცოცხლო ინტერესებმა მოითხოვა, რომ იგი დაეტოვებინა ერთ ნაწილს. ეს პროცესი მტკივნეული არ უნდა იყოს, რადგან თვითონ ყველაზე უკეთ ხედავენ, რომ მათი დასში ყოფნა არაპერსპექტიულია, არც საკუთარ თავს მატებს რამეს და არც თეატრს, ასეთ დროს საჭიროა თვითკრიტიკულად შეხედო თავს და სხვაგან ეძიო თვითგამოხატვის ასპარეზი. პენსიაზე გასული მსახიობები თეატრის კოლექტივის წევრებად რჩებიან, მათ მოვიწვევთ ხოლმე ცალკეულ დადგმებზე; თეატრში ახლა ორი რეჟისორი ვართ — მე და გიზო ჟორდანია. ჩვენ მაქსიმალურად უნდა ავამოქმედოთ ახლანდელი დასი, არცერთი მსახიობი არ უნდა იყოს უქმად. თეატრის შემოქმედებით ზრდას მხოლოდ ამაში ვხედავ.

ჩვენ მოვიწვიეთ დაეწყება რეჟისორები. მერაბ სვირავა და ლევან წულაძე, ამჟერად მუშაობენ ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიან ქორწილზე", გია ბარაბაძე და გოგა თავაძე დგამენ ირაკლი სამსონაძის პიესას „აღდგომა მიტოვებულ სასაფლაოზე".

მალე ჩვენთან ჩამოვა და ბერტოლტ ბრეხტის „სეჩუანელ კეთილ კაცზე" მუშაობას დაიწყებს ისრაელის ეროვნული თეატრის „ჰაბიმას" სამხატვრო ხელმძღვანელი ომრი ნიცანი.

გიზო ჟორდანია დიდ სცენაზე დადგამს ილიას „კაცია-ადამიანს", ხოლო მცირე სცენაზე შექსპირის „ჰამლეტს", ჰამლეტს მერაბ ნინიძე ითამაშებს.

ახალგაზრდობის ჯგუფი ახლახან დაბრუნდა ესპანეთიდან, მათ სამ ქალაქში ტალავერაში, ალკაზარსა და დონ-ბენიტოში „სამანიშვილის დედინაცვალი" და „ამაღამ მგონი იქნება ჭარი" წარმოადგინეს.

უახლოეს დღეებში ჩვენი თეატრი მიემგზავრება იტალიაში და „მეფე ლირით" მონაწილეობას მივიღებთ მილანის ხელოვნების ფესტივალში.

...ასეთია რუსთაველელთა 110-ე სეზონის შემოქმედებითი გეზი, თეატრისა, რომელიც ქართველერს მუდამ მიაჩნდა ეროვნული იდეების მებაირახტრედ.

გიორგი ლალიაშვილი.

ქართული კულტურის დესპანები

პაატა ბურჭულაძის სიკეთისმთესველი ხელოვნება

გამოჩენილი მომღერლის პაატა ბურჭულაძის შემოქმედებით ბიოგრაფიას კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი შეემატება. 8 ოქტომბერს ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერაში" იხსნება ახალი მუსიკალური სეზონი. ამ დღეს ამერიკელი მაყურებელი მოისმენს მუსორგსკის ოპერას „ბორის გოდუნოვს" და ბორისის როლში იხილავს პაატა ბურჭულაძეს. ქართველი მომღერლის გამოსვლა მსოფლიოს ცნობილ სცენაზე და ისიც სეზონის პრემიერაზე, ვოკალისტის ხელოვნების უდავო აღიარებაა. აქ, ამ თეატრში ზუსტად ერთი წლის წინათ ამერიკელებმა პაატა ბურჭულაძე აღიარეს „მეტროპოლიტენ-ოპერას" სეზონის საუკეთესო მომღერლად. აქვე ვოკალისტი ტრიუმფით გამოვიდა ოპერებში „აიდა" და „სევილიელი დალაქი" და ამერიკელ მუსიკის მოყვარულთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქარგად იცნობენ პაატა ბურჭულაძის ხელოვნებას. იგი, ქალაქ ფილადელფიის საპატიო მოქალაქე, არაერთხელ გამოსულა ამ უძველესი ქალაქის საოპერო თეატრის სცენაზე და ყოველთვის დიდი წარმატება ახლდა თან.

ახლა მომღერალი ნიუ-იორკშია, მიმდინარეობს ბოლო რეპეტიციები და დაძაბული მუშაობა. წინ „ბორის გოდუნოვის" პრემიერაა. ოპერისა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მის რეპერტუარში.

მანამდე კი იყო ტრიუმფული გამოსვლა ზალცბურგის მუსიკალურ ფესტივალზე. კრიტიკამ და პრესამ უმაღლესი შეფასება მისცეს ქართველი ვოკალისტის ხელოვნებას, რომელიც „მსოფლიოს „აღმოუჩინა" თანამედროვეობის უდიდესმა დირიჟორმა ჰერბერტ ფონ კარაიანმა. „ეს საუკეთესო ბანია, რომელიც ოდესმე მომისმენია" — იტყვის შემდეგ დირიჟორი ერთ-ერთ ინტერვიუში. წლევანდელი ფესტივალის გმირი გახდა პაატა ბურჭულაძე, რომელმაც ჟურნალების „ფეშეშპიელის", „ზალცბურგ ჯოურნალისა" და სხვა პერიოდული გამოცემების სიტყვით, მოხიბლა მსმენელები თავისი ძღერადი, უბადლო ფერადოვანი ხმით და შესრულების ოსტატობით".

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის საოპერო თეატრისა და საკონცერტო დარბაზის ავიშას დაამშვენებს პაატა ბურჭულაძის სახელი. მის ხელოვნებას გაეცნობიან გერმანიის, პორტუგალიის, ესპანეთის, შვეიცარიის, შვეციის, ინგლისის და საფრანგეთის ქალაქების მსმენელები. მომავალი წლის ივნისამდე დაგეგმილია თბილისელი ვოკალისტის გამოსვლები ოპერებში „ბორის გოდუნოვი", „ნაბუკო", ბოიტოს „მეფისტოფელი", ვერდის „რეკვიემში". მაგრამ, სადაც უნდა გამოდიოდეს იგი, მუდამ ცდილობს ქართული კულტურის ამბავლობას მოახმაროს თავისი სიკეთისმთესველი ხელოვნება. მომღერლის ეს პოზიცია იმითაც გამოიხატა, რომ უცხოეთში მოპოვებული საკმაო ვალუტა ეროვნული კულტურის საჭიროებისათვის ჩარიცხა.

სიკეთე, ქველმოქმედება, გულმოწყალება — ეს მარადიული ცნებები ქართველი ვოკალისტის ცხოვრების ნორმაა. აი, უკვე წელიწადზე მეტია მისი ყოველთვიური ხელფასი 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალურ ფონდში იცხება. ამ გაზაფხულზე კი მან თბილისში საქველმოქმედო კონცერტში მიიღო მონაწილეობა და მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდს სოლიდური თანხა შემატა.

და კიდევ ერთი საქველმოქმედო პროგრამა: გაისად 12 თებერვალს, იმ დღეს, როცა მომღერალს 36 წელი შეუსრულდება, შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიმართება მისი სოლო კონცერტი, რომლის მთელ შემოსავალს იგი საქართველოს ბავშვთა ფონდს გადაურიცხავს.

პაატა ბურჭულაძის ნიჭის ელვარებამ და გულის სითბომ, ასე ჰარმონიულად რომაა შერწყმული მის ხელოვნებაში, ქართულ კულტურას ბევრი მეგობარი და დამფასებელი შესძინა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მერი გაბრიაძე.
საინფორმის კორესპონდენტი.

ერთობლივი გამოფენა-ვაჭრობა

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს, ინგლისისა და ისრაელის ერთობლივი საწარმოს „ჯორჯიას" ხაქორწინო და ელეგანტური კაბების გამოფენა-ვაჭრობა, რომელიც საქართველოს სსრ მხუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდებისა და ტანსაცმლის კულტურის რესპუბლიკურმა ცენტრმა მოაწყო.

სურათებზე: „ჯორჯიას" სიახლენი.

გონდო დვალიშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოკორონიკა).

თბილისური ვერნისაჟი

საქართველო იაპონელი ფოტოხელოვნის თვალით

თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები თავისი ნამუშევრების გამოფენაზე მიიწვია იაპონელმა ფოტოხელოვანმა იუტაკა საკაიმ. გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ხელოვანის 120 ფერადი ფოტო, 3 ოქტომბერს გაიხსნა თბილისის მხატვრის სახლში.

უჩვეულო და მაინც ნაცნობია ის სამყარო, რომელიც აღბეჭდა იაპონელი ოსტატის ფოტოობიექტივმა. იუტაკა საკაიმ მსოფლიოს 110 ქვეყანა ნახა. თბილისურ ვერნისაჟზე კი წარმოდგენილია 20 ქვეყანაში შექმნილი სურათები. მისი შემოქმედებითი პალიტრის დიაპაზონი ფართო და მრავალმხრივია, მაგრამ ამ გამოფენაზე უმეტესად პეიზაჟებს შეხვდებით. ავტორის ყურადღებას იქცევს, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივი საგნები და მოვლენები, მაგრამ ისინი ისეთ მაღალმხატვრულ დონეზეა ასახული, რომ სცილდება ფოტოგრაციის ფარგლებს.

გამოფენა მოაწყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა და თბილისის მხატვრის სახლმა.

— ჩემს ფოტოკოლექციას შეემატება საქართველოში გადაღებული სურათები, ისინი გააცნობენ ჩემს თანამემამულეებს უმშვენიერეს ქვეყანას და მის ხალხს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს იუტაკა საკაიმ.

(საქინფორმი).

ასე ადვილად ვიმეცნებთ ერთმანეთს?

ამას წინათ საჩხერის რაიონში ორი საოცარი მკვლელობა მოხდა. საოცარი — არა კრიმინალური თვალსაზრისით, არამედ სოციალური ალოგიკურობითა და ზეობრივი სიმახინჯით. მოკლეს ავადმყოფობით, წელთა სიმრავლითა და მატერიალური გაჭირვებით წელში გატეხილი ორი ქართველი მანდილოსანი.

8 სექტემბერს ლამით სოფელ საირხეში, თავის ფიცრულ პატარა საცხოვრებელ სახლში ხანძარში ამობუგეს მეორე ჯგუფის ინვალიდი ნადია მოდებაძე.

19 სექტემბერს სოფელ სპეთში საკუთარ ეზოში თავისა და მკერდის არეში ბლაგვი საგნის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმეს მარტოხელა პენსიონერი. 1918 წელს დაბადებული აგრაფინა ხომასურიძე.

რა დააშავა ამ ორმა დავრდომილმა ქალმა ისეთი, რომ სასიკვდილოდ გაიმეტეს? ან მათ ხუხულა სახლებში ამისთანა რა სიმდიდრე შეიგულეს ქურდებმა, ცდუნებას რომ ვეღარ გაუძლეს?

ამ ბოროტი დანაშაულის მიზეზსა და შეიგეს საბოლოოდ გამოძიება დაადგენს, განაჩენსაც სასამართლო გამოიტანს, მაგრამ მთავარი მაინც შეგვიძლია ვიუწყოთ მკითხველს:

ინვალიდი ნადია მოდებაძე თავისმა თანასოფლელმა დავით კურტანიძემ მოკლა, აგრაფინა ხომასურიძეც თავისი თანასოფელელის — როსტომ ქიმაძის მსხვერპლი გახდა.

მკვლელთაგან პირველი — 17 წლისაა, მეორე — 24-ის. შვილიშვილებად ერგებიან განსვენებულ მანდილოსნებს.

მკვლელობის მოტივი: ნადია აბულაძეს, როგორც დავით კურტანიძე ამბობს, თურმე წინა დღით დაეწყუალია იგი, ისიც ამდგარა და სამაგირო გადაუხდია.

აგრაფინა ხომასურიძეს თავისი მკერდიდენი ნაჯაფარი გაუყიდია და ორიოდე კაპიკი მიუტანია სახლში. სწორედ ამ „ქონების" ხელში ჩაგდების მიზნით გამოასალმა სიცოცხლეს 72 წლის ქალი სოფლის ფოსტალიონმა როსტომ ქიმაძემ.

საქართველოში წლეულს ცხრა თვეში 190-ზე მეტი მკვლელობა მოხდა. საგულისხმოა ისიც, რომ სხვა ერის კაცს არ მოუკლავს არც ერთი ქართველი. ისევ ჩვენმა აღმოჩენთა ხელი ჩვენსაზე. უფრო მეტიც, მოკლულთა და მკვლელთა ანსოლუტური უმრავლესობა ერთმანეთის ახლობლები იყვნენ.

გასულ ცხრა თვეში საქართველოში ჩადენილია ორასამდე მკვლელობა

21 სექტემბერს გორის რაიონსაადამყოფოში მიიყვანეს მძიმე მდგომარეობაში მყოფი სოფელ ქვემო ნიქოზის მცხოვრები, 1913 წელს დაბადებული, პენსიონერი ავთანდილ ლონგურაშვილი. მოხუცს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ექიმებმა, როცა მის დასისხლიანებულ, დალურჯებულ სხეულს დახედეს, ბუნებრივია, მიზეზიც იკითხეს. ხიდან ჩამოვარდეო, ამოიკვნესა მოხუცმა და მალე სულიც განუტევა.

ეს პირველად და უკანასკნელად იცრუა, ალბათ, მოხუცმა—იცრუა, რათა მკვლელობის პასუხისმგებლობისაგან ეხსნა საკუთარი შვილი. ეტყობა, მშობლის გული ყოველთვის უფრო შემწდობი და მიმტევებელია.

მამა-შვილი იმ დღეს ქორწილში დაბრუნდნენ. როგორც ამბობენ, ორივენი ნასვამები იყვნენ. შვილმა — შურმან ლონგურაშვილმა, ცხინვალის სპირტის ქარხნის მუშამ, ჩხუბი აუტეხა თავის მეუღლეს. მამამთილი რძალს გამოექომაგა. შვილმა, ჩემი ოჯახის საქმეში რას ერევიო, უღმერთოდ სცემა მამას...

23 სექტემბერს ახალგორის (ყოფილი ლენინგორის) რაიონის სოფელ ყანჩავეთში ძმამ ძმა მოკლა. მიზეზს არ იკითხავთ? ძმები შელაპარაკდნენ, შელაპარაკება კი ჩხუბში გადაიზარდა. ნასვამმა ძმამ, 1968 წელს დაბადებულმა ბადრი ტატუნაშვილმა, დასაკეცი დანის გულში დარტყმით მოკლა უფროსი ძმა — 1963 წელს დაბადებული ვეფხია ტატუნაშვილი. არც ერთი და არც მეორე ე. წ. „დამნაშავეთა სამყაროს" წარმომადგენლები არ ყოფილან, ყანჩავეთის კოლმეურნეობაში მუშაობდნენ.

8 სექტემბერს უცნობი დამნაშავე შეიპარა ოზურგეთის სარემონტო-მექანიკური კომბინატის ტერიტორიაზე. ბლაგვი საგნის თავში დარტყმით მოკლა დარაჯი ნიმონ ფოდალაშვილი და გაიტაცა კომბინატის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა გაზ-53.

ერთი შეხედვით საქმე ყაჩაღურ თავდასხმასთან უნდა გვქონოდა. დარაჯის მოკვლა და ავტომანქანის გატაცება, ახალი სხვა დანაშაულის პროლოგი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მილიციის მუშაკების საზრიანი და ენერგიული მოქმედების წყალობით დამნაშავე ორ დღეში დაიკავეს და საიდუმლოებისაც ფარდა აეხადა.

მკვლელი აღმოჩნდა სიმონ მურადაშვილის კარის მეზობელი 1970 წელს დაბადებული, ოზურგეთის №1 ჩაის ფაბრიკის მუშა ირაკლი ვასაძე.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა შემდეგი: ირაკლი ვასაძეს ერთი, არც თუ ისე უწყინარი ზნე სჭირს. როგორც კი დალევს, მანქანის საპისკენ გაურბის ხელი. ამ ბოლო ხანებში ასე დაამტვრია საკუთარი და თავისი ნათესავის ავტომანქანები. 8 სექტემბერსაც, მორიგი პურ-მარილის შემდეგ, კვლავ ისურვა ავტომანქანით გასეირნება. სწორედ ამიტომ შეიარა სარემონტო მექანიკური კომბინატის ეზოში, სადაც მას სატვირთო ავტომანქანა ეგულებოდა...

აი ასე, ახალგაზრდა კაცის ახირებას შეეწირა მისი ქარის მეზობლის სიცოცხლე.

19 სექტემბერს ზუგდიდში 1965 წელს დაბადებულმა უმუშევარმა, ადრე ნასამართლევმა რობინზონ ლაგვილავამ ჩხუბის დროს სანადირო თოფით მოკლა თავისი მეზობელი და მოგვარე — 1967 წელს დაბადებული ვალერი ლაგვილავა.

7 სექტემბერს ღამით ქუთაისში „საქნახშირის" სამმართველოს საწყობის ადმინისტრაციული კორპუსის გვერდით იპოვეს ადამიანის დამწვარი გვამი. ძალადობით მკვლელობაზე მიანიშნებდა ის, რომ დამწვარ პიროვნებას ფეხები შეკრული ჰქონდა.

ქალაქის ავტოქარხნის რაიმილიციის მუშაკებმა 9 სექტემბერს დაიკავეს 1967 წელს დაბადებული, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მუშა ზვიად ყურაშვილი და 1964 წელს დაბადებული ქუთაისის კოოპერატივ „დილას" მუშა მარინა ლოსაბერიძე-ჟურული, რომლებმაც აღიარეს, რომ მათ დანით მკერდის არეში ოთხი ჭრილობა (აქედან 3 — გულში გამავალი) მიაყენეს 1964 წელს დაბადებულ, ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატის მუშას დავით აბელეფანს, შემდეგ კი გვამი დაწვეს.

საგულისხმოა, რომ მკვლელებიც და მოკლულიც მეზობლები იყვნენ, სამივენი ქუთაისში, მარქსის ქუჩაზე ცხოვრობდნენ.

იყო დრო, როცა თვით დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებიც კი ადვილად არ სჩადიოდნენ მკვლელობას. სისხლიანი საქმე ღირსებას არ მატებდა ქურდს. ახლა კი ამ ცოდვისკენ ნაბიჯს უფრო იოლად დგამენ.

8 სექტემბერს, სალამოს, სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოში, რკინიგზის გადასასვლელზე პისტოლეტითა და ხელყუმბარით შეიარაღებულმა ოთხმა პირმა გაძარცა მსუბუქი ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ ამ მანქანის მფლობელი სოფელ საჯავახოს მკვიდრი, სამტრედიის საკონსერვო ქარხნის ცვლის უფროსი გურამ შანიძე და მისი ორი თანასოფლელი ნუგზარ გაგუა და მამია თარგამაძე.

თავდამსხმელები შეეცადნენ ავტომანქანის წართმევასა და გურამ შანიძის მოტაცებას. მაგრამ მანქანაში მყოფებმა, აგრეთვე მათ დასახმარებლად მოსულმა თანასოფლელებმა მომალადეებს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს.

რაკი შეტაკების, მათ ჩახფიქრს განხორციელება არ ეწერა, თავდამსხმელები ტყეში მიმალვას შეეცადნენ. ერთ-ერთმა მათგანმა უკანდადევნებულ ხალხს ხელყუმბარა ესროლა. აფეთქებულ ყუმბარას საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. მხოლოდ ერთი დაიჭრა.

ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებით იმავე ღამეს სოფელ საჯავახოში დაიკავეს თავდამსხმელთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, 1963 წელს დაბადებული ჯუმბერ გუგავა, რომელიც წლეულს 25 ივლისს გაიქცა საგამოძიებო იზოლატორიდან. დაკავებისას მას აღმოაჩნდა პისტოლეტი, ბარიკი და დანა.

შეშფოთებას იწვევს არა მარტო მკვლელობათა რიცხვის კატასტროფული მატება, უაზრო მსხვერპლი, არამედ ის საზოგადოებრივი გულგრილობა, რომელიც თან სდევს ამ ეროვნულ ტრაგედიას. ბევრი მკვლელობა ხდება დღისით, მზისით, ყველას თვალწინ. მკვლელობათა სამოცდაათი პროცენტი ჩადენილია ჩხუბისა და შელაპარაკების დროს. რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე გადაურჩებოდა საქართველოს, დროულად რომ გაუშვეტებინათ მოჩხუბრები, დაეშოშმინებინათ ერთმანეთზე წაწეული მოქიშპენი.

21 სექტემბერს შუადღისას საქართველოს ზოოვეტნსტიტუტის ტერიტორიაზე მუცლის არეში დანის დარტყმით მოკლეს ამ ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი პაატა ქართველიშვილი. მკვლელობა ჩადენილია მისი თანაკურსელის ზვიად ხალიშვილის (სხვათა შორის, მისი მეჯვარეა) მიერ ჩხუბის დროს, რამდენიმე ადამიანის თანდასწრებით, რომლებმაც არაფერი გააკეთეს მოჩხუბარი ახალგაზრდების გასაშველებლად.

მკვლელი, ვინც არ უნდა იყოს იგი და რა გარემოებაშიც არ უნდა ჩადიდნოს მძიმე დანაშაული, კანონით აგებს პასუხს. მაგრამ ამ ბოლო ხანებში გახშირდა შემთხვევები, როცა მოკლულის ახლობლები აღარ უცდიან სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებას, სასამართლოს განაჩენს და თვითონვე „ასწორებენ ანგარიშს". დანაშაულს ახალი დანაშაული მოსდევს, მსხვერპლს — ახალი მსხვერპლი. ამგვარი ანგარიშსწორების რამდენიმე შემთხვევა უკვე იყო დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

აი, სულ ახლახან, 26 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში საკუთარ ბინაში სხვადასხვა წამლების დიდი დოზა მიიღო და თავი მოიწამლა, საავადმყოფოში მიყვანისას, ისე რომ გონზე არ მოსულა, გარდაიცვალა 1963 წელს დაბადებული ნატო კვარაცხელია.

ნატო კვარაცხელიას ნათესავებმა ჩათვლეს, რომ მისი საკვდილის მიზეზი გახდა ამავე სოფლის მკვიდრი, 1946 წელს დაბადებული, საქენერგოს ქსელების სამმართველოს მძღოლი ზაურ აბურზანია. დაესხნენ მის საცხოვრებელ სახლს, წაუკიდეს ცეცხლი და დაუწვეს, რაც ებადა.

თვითონ ზ. აბურზანია იმალება. გამოძიება დაადგენს, მიუძღვის თუ არა მას ბრალი ახალგაზრდა ქალის სიკვდილში. მაგრამ სანამ მართლმსაჯულება თავის ობიექტურ სიტყვას იტყოდეს, არ არის გამორიცხული, მოპირდაპირე მხარემ საკუთარი შეხედულებით გამოუტანოს განაჩენი. დამეთანხმებით, ამგვარი ქმედება კანონსაწინააღმდეგოა და ცივილიზებულ საზოგადოებას არ შეეფერის. ხალხმა თუ დროულად არ აღიმაღლა ხმა ასეთი მოქმედების აღსაკვეთად, მას უსათუოდ მოჰყვება დანაშაულობათა ესკალაცია, ახალ-ახალი მსხვერპლი და ტრაგედია.

მკვლელობა ჩვენი დასნეულებული საზოგადოების ერთ-ერთი მანკია. საზოგადოებრივ მანიეურებას კი კომპლექსური, საერთო ძალისხმევით მკურნალობა სჭირდება. უამისოდ წარმოუდგენელია თავისუფალი, სამართლიანი, ზნემაღალი, შვილმრავალი საქართველო.

ვლადიმერ გოგოლაშვილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრიობასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მუშაობის განყოფილების უფროსი, რეზუბლიკის დაჯილდოებული ეურნალისტი.

სატურნირო ორბიტა

თავისუფალი ჭიდაობა. თბილისში მიმდინარე ქვეყნის თასის გათამაშების მორიგ ტურში რვა გუნდმა მოიპოვა ბრძოლის გაგრძელების უფლება. კენჭისყრამ ისინი ორ ჯგუფად გაყო. პირველში შევიდნენ ბელორუსი, სომეხი, ქართველი და ლენინგრადელი სპორტსმენები, მეორე ოთხეულში კი აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის სფსრ და ყაზახეთის გუნდებმა მოიყარეს თავი.

შეჯიბრება დაიწყეს უმცროსი ასაკის წარმომადგენლებმაც. პირველ ჯგუფში ქართველმა სპორტსმენებმა დაამარცხეს სომხეთის გუნდი — 9:1, შემდეგ ლენინგრადელები — 10:0, და ბოლოს ბელორუსი მოჭიდავეები — 9:1. ასე რომ, საქართველოს გუნდი ფინალშია. მათი მოწინააღმდეგე გამოვლინდებოდა უკრაინისა. და რსფსრ-ის გუნდების შეხვედრის შემდეგ. მაგრამ... მეექვსე შეჯიდების დროს უკრაინელ მწვრთნელებს ეჭვი შეეპარათ მსაჯთა ობიექტურობაში, შედეგი გააპროტესტეს და საბოლოოდ უკრაინამ საერთოდ უარი თქვა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე.

თასის მფლობელი 6 ოქტომბერს გამოვლინდება.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მესამე ტურში სპორტსმენებმა ასეთი შედეგებს მიაღწიეს.

ბეკერი-კელი ევერნდენი (ახალი ზელანდია) — 6:4, 6:3. ლუნგრენი-ჩანგი — 6:2, 6:4, რიჩი რენებერგი (აშშ)-მაზური — 7:5, 6:3, ვუდბრიჯი-ბრედ პირსი (აშშ) — 6:3, 4:6, 6:3, გრანტ კონელი (კანადა)-ჰაარპუზი — 5:7, 7:5, 6:4, უიტონი-კიუნენი — 7:5, 3:6, 6:3.

უშუ. აზიურ თამაშებში ფინალური შეხვედრები სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო ფედერაციის შექმნას დაემთხვა. იგი 38 ქვეყანას აერთიანებს, ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ჩინელი ლი მენხუა. უშუში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას მომავალი წლის ოქტომბერში ვარაუდობენ.

რედაქტორის მოადგილე ნოდარ ჯაველიძე.

გინდეთ საერთაშორისო ცენტრი

გარეშმოს დაცვის და დაგეგმვის მენეჯერთა მომზადების საქართველოს საერთაშორისო ცენტრი, რომელიც ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (აშშ) ერთად შეიქმნა, აცხადებს საბუთების მიღებას პირველი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. ბოლოს გამოცდებზე ადგილები აქვს, ვისაც აქვს უმაღლესი განათლება, შესაძლებელია სამეცნიერო ხარისხი. მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებით:

1. ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღება და რაციონალური გამოყენება;

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია;

3. ბუნებრივი რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება.

მისაღები გამოცდები სპეციალობაში მოეწყობა ტესტირების მეთოდით ა/წ 22 ოქტომბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით. სწავლება ხანგრძლივობა სამი წელი. პირველი წელი ძირითადად ეთმობა ინგლისური ენის ინტენსიურ შესწავლას. სასწავლებლის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ „ბიზნეს-ადმინისტრაციის მაგისტრის" ხარისხი. დიპლომი, რომელიც გაიცემა, რეგისტრირებული იქნება საქართველოს მინისტრთა საბჭოში და ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიპლომი იქნება ნოსტრიფიცირებული (მომქმედი) საქართველოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის ქვეყნებში. სწავლების პროცესში მონაწილეობას მიიღებენ ცალკეული დარგის აღიარებული სპეციალისტები, რომლებსაც მოიწვევენ როგორც ამერიკის შეერთებული შტატებიდან, აგრეთვე ჩვენი და ევროპის ქვეყნებიდან. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პრაქტიკულ მეცადინეობებს (სტაჟირებას) როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საბუთების მიღება იწარმოებს ა/წ 20 ოქტომბრამდე ყოველდღე 10 საათიდან 15 საათამდე გარდა კვირა დღისა.

საბუთების მიღების დროს პირად გახსნადებას უნდა დაერთოს: დახასიათება-რეკომენდაცია წარმოებიდან, ხელშეკრულება, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ან სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ოთხი ფოტოსურათი. **დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას მისამართით:** თბილისი, დიღომი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ოთახი №211, ტელ. 51-92-60, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ოთახი №413, ტელ. 93-87-01.

მიმღები კომისია.

ტელევიზია — პარასკევი, 5 ოქტომბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 16.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვანი". 17.00 — მოსწავლეთათვის. „მეგობრობის მერიდიანზე". 17.50 — განცხადებები. 18.00 — „ოქროს საწმისის ეკრანი". მხატვრული ფილმი „გზა ლურდისაკენ". (გფრ). 19.50 — ეთერშია ჯანმრთელობის ცენტრი. აცრები. 20.00 — მოამ